პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 21 (3505)

31

1968 წ. იანვარი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.




მსოფლიო ჩემპიონი ასუჯრიან შაშში დიდოსტატი ი. კუპერმანი დაფნის გვირგვინით, რომლითაც შეამკეს იგი გუშინწინ სასტუმრო „ივერიაში" მსოფლიო პირველობაზე მატჩის საზეიმო დახურვისას. იმავე საღამოს კუპერმანმა მიიღო ოქროს, ხოლო ა. ანდრეიკომ ვერცხლის მედალი, რომლითაც ისინი შაშის მსოფლიო ფედერაციამ დააჯილდოვა.

ფოტო ნ. ლარინისა.

## ტრადიცია გრძელდება

— საბჭოთა სპორტსმენები იმედოვნებენ, რომ გრენობლის ოლიმპიადაში საპრიზო ადგილებს მოიპოვებენ ჰოკეიში, ფიგურულ სრიალში, ციგურაობაში, სათხილამურო რბოლასა და ბიატლონში, — განაცხადა სსრ კავშირის ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. მაშინმა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 29 იანვარს მოეწყო საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის.

დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც ოლიმპიადაში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება, შედიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ზამთრის სპორტის თითქმის ყველა ოლიმპიური სახეობის წარმომადგენლები. ჩვენი დელეგაციის წევრთა შორის არიან ქვეყნის ოცზე მეტი ქალაქის სპორტსმენები, რომლებმაც შესარჩევი ოლიმპიური შეჯიბრებების ყველა გამოცდა გაიარეს.

ჩვენი დელეგაციის ოლიმპიური სტაჟი, — თქვა მაშინმა, — გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა მოწინავე სპორტული ქვეყნების წარმომადგენლებისა. სსრ კავშირის გუნდს 1956 წელს კორტინა დ'ამპეცოს ოლიმპიადაში ჰქონდა დებიუტი და ყველაზე მეტი (16) მედალი მოიპოვა. გუნდს 21 ჯილდო მოუტანა VIII ზამთრის ოლიმპიადამ, რომელიც 1960 წელს გაიმართა (სკვო-ველი). ოთხი წლის წინ, ინსბრუკში, საბჭოთა ოლიმპიელები კვლავ პირველნი იყვნენ. ამჯერად მათ 25 მედალი დაისაკუთრეს და გუნდურ ჩათვლაში ყველაზე მეტი ქულა დააგროვეს.

საბჭოთა სპორტსმენები არც გრენობლში უღალატებენ ტრადიციას.

გარდა სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობისა, — თქვა მაშინმა, — საბჭოთა დელეგაციას განზრახული აქვს გრენობლში ჩაატაროს შეხვედრები ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების დელეგაციებთან, მასპინძლებთან, უჩვენოს მათ ახალი საბჭოთა კინოფილმები, საჩუქრად მიართვას ილუსტრირებული გამოცემები, ფირფიტები კლასიკური და საბჭოთა მუსიკის ჩანაწერებით, სამახსოვრო ნიშნები და ფოტოსურათები. ერთი სიტყვით, საბჭოთა სპორტსმენები კვლავ ყველაფერს გააკეთებენ, რათა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ახალგაზრდებს შორის მეგობრობისა და მშვიდობის სულისკვეთება განმტკიცდეს.

მაშინმა საბჭოთა სპორტსმენების სახელით მადლობა გადაუხადა საფრანგეთის ხალხსა და გრენობლის მოსახლეობას, რომლებმაც ძალზე ბევრი გააკეთეს ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციისთვის.

პრეს-კონფერენციის დასასრულს მაშინმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

## ოლიმპიური ჩირაღდანი პარაშუტით დაეშვა

პარიზი, 30 იანვარი. უკვე კარგა ხანია საფრანგეთის გზებზე მოგზაურობს ოლიმპიური ჩირაღდანი. იგი მიჰქონდათ მოთხილამურეებს, მორბენლებს, ველოსიპედისტებს. ახლა ესტაფეტა მიიღო... პარაშუტისტმა. პ. ლერუ ჩირაღდნით ხელში პარაშუტით გადმოხტა 300 მეტრის სიმაღლიდან. ეს მოხდა პატარა ფრანგული ქალაქის ლა პლანის რაიონში, სადაც ლერუ ერთ-ერთი სპორტული მოღვაწეა.

მართალია, ჰაერში მოგზაურობისას ქარმა ჩააქრო ცეცხლი, მაგრამ მიწაზე დაშვების მომენტში იგი კვლავ აანთეს ოლიმპიური ცეცხლის დუბლიკატის საშუალებით, რომელიც მატარებლით ჩამოიტანეს და ინახებოდა მეშახტის ნათურაში. ლა პლანი ჩირაღდნის მოგზაურობის 42-ე ეტაპია. აქედან მას ჩაიტანენ გრენობლში და 6 თებერვალს აანთებენ X ოლიმპიადის ჩირაღდანს.

## [illegible]

● კლიპანი (შვეცია), 29 იანვარი. აქ გაიმართა კლასიკურ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი „კლიპანის თასზე", რომელშიც გამოდიოდნენ გდრ-ის, გფრ-ის, დანიის, ნორვეგიის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და შვეციის წარმომადგენლები. თასის მფლობელები გახდნენ საბჭოთა მოჭიდავეები. ჩვენებმა მოიხვეჭეს 7 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი.

● ოკლენდი, 29 იანვარი. სან-ფრანცისკოს გარეუბნის დარბაზში ტეხასის უნივერსიტეტის სტუდენტმა ბ. ბიმონმა სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 818 სმ. სიმაღლეზე ხტომაში პირველი იყო ახალგაზრდა დ. ფოსბიური — 213 სმ.

● პორტლენდი, 29 იანვარი. ფინელმა ა. ალაროტუმ აქ გამართულ შეჯიბრებაში ჭოკით დაძლია 518 სმ. ეს შედეგი მეორეა მიმდინარე სეზონში მსოფლიოში.

● ალბუკერკი, 29 იანვარი. აშშ-ს ამ მაღალმთიანი ქალაქის დარბაზში ჯ. ვუდსმა (აშშ) ბირთვი ჰკრა 20,40 მეტრზე. ეს შედეგი საუკეთესოა მიმდინარე სეზონში და მხოლოდ 27 სმ-ით ჩამორჩება მსოფლიო მიღწევას.

● სანტ-იაგო, 29 იანვარი. ჩილის დედაქალაქში გამართულ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა გდრ-ის ნაკრებმა. აღსანიშნავია, რომ გათამაშებაში გამოდიოდნენ ბრაზილიის „სანტოსი" (დაიკავა II ადგილი), ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, არგენტინის „რესინგი", ბუდაპეშტის „ვაშაში" და ჩილის უძლიერესი გუნდები.

◆ ლოზანა, 30 იანვარი. [illegible] ჩატანილია მეხიკოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში — ასე განუცხადა სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს, ინგლისელ ჩ. პალმერის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯიმ.

◆ სტოკჰოლმი, 30 იანვარი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა II ნაკრებმა დაამარცხა ამ ქვეყნის მეორე ნაკრები — 9:4. გამარჯვებულთაგან შაიბები გაიტანეს იაროსლავცევმა, მარტინიუკმა და გრიგორიევმა (2-2), მარკოვმა, გოროდეცკიმ და მოტოვილოვმა.

◆ პარიზი, 30 იანვარი საფრანგეთის დედაქალაქის ახლო მდებარე მონტრიეში გაიმართა მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება. წარმატება მოიპოვა 15 წლის მოსკოველმა მოსწავლემ გ. დავიდოვმა. მან 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში აჩვენა 1.03,6, ხოლო 200 მეტრზე — 2.18,0. ორივე დისტანციაზე დავიდოვი I იყო.

## ლიდერები ლიდერობენ

ოდესა, 30 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის სტუდენტ მოჭადრაკეთა პირველობის IV ტურში ლიდერებმა კვლავ ისახელეს თავი. საქართველოს ჩემპიონმა რ. ჯინჯიხაშვილმა კარგად მოუგო მასპინძელთა წარმომადგენელს, ოსტატ მ. პოდგაეცს, ვ. კუპრეიჩიკმა (მინსკი) სძლია ჩელიაბინსკელ ე. სვეჩნიკოვს.

ტურნირში პირველად დამარცხდა თბილისელი ე. უბილავა, რომელსაც ოდესელმა ოსტატმა ლ. ალბურტმა მოუგო. ვ. ცეშკოვსკიმ (ომსკი) დაამარცხა ლენინგრადის ჩემპიონი ვ. ფაიბისოვიჩი.

ყაიმით დასრულდა ვ. ტუკმაკოვისა (ოდესა) და ი. ბალაშოვის (მოსკოვი) შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

4 ტურის შემდეგ ლიდერობენ ვ. კუპრეიჩიკი — 3,5 ქულა და რ. ჯინჯიხაშვილი — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ჭადრაკი

## მეტოქეები ცნობილია

ჩელიაბინსკი, 29 იანვარი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიწყო „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს საჭადრაკო პირველობის ქალთა და ვაჟთა ნახევარფინალური შეჯიბრებები (ფინალში 3-3 მოჭადრაკე დაიშვება).

ქალთა ტურნირში ჩვენების — თ. ხუგაშვილისა და ნ. ჩიქობავას მეტოქეები არიან: სტრანდსტრემი, ლეინი (ორივე — მოსკოვი), შაცკაია (მოგილიოვი), სოროკინა (ნოვოკუზნეცკი) და სხვები, სულ 9 მოჭადრაკე.

ვაჟთა ტურნირს 18 მონაწილე ჰყავს. გ. გამრეკელის, ზ. მიქაძისა და გ. მაჭავარიანის მეტოქეთა შორის არიან ოსტატი კუზნეცოვი (კალინინი), ოსტატობის კანდიდატები დემირხანიანი (ერევანი), ა. არხიპოვი (ყაზანი), ვ. არხიპოვი (ჩელიაბინსკი), რუმიანცევი (ბარნაული), პოზდნიაკოვი (სვერდლოვსკი) და სხვ.

ჩელიაბინსკის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მოჭადრაკეებისთვის მრავალი პრიზი დააწესეს, ხოლო ტელესტუდიამ საგანგებო გადაცემა მოაწყო შეჯიბრების დაწყებასთან დაკავშირებით.



რუსთავში, მეტალურგიული ქარხნის სპორტულ დარბაზში ხშირად ეწყობა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამას წინათ აქ გაიმართა მოკრივეთა ტრადიციული ასპარეზობა — „ღია რინგი", რომელმაც ბევრი ახალბედა სპორტსმენი მიიზიდა.

სურათზე: ო. ბერიძისა (მარჯვნივ) და გ. ზიტოვის შეხვედრის მომენტი. გაიმარჯვა პირველმა.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ე. გოკიელი


ა. კერსელიანი


ა. შჩერბინა


ბ. დიაჩკოვი


ა. ალიშანოვი

# მათ ყველას აჯობეს

საქართველოში მძლეოსნობის ასობით მწვრთნელი მუშაობს. ზოგი მათგანი მაღალი კლასის სპორტსმენებს, რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ნაკრების წევრებს ზრდის, მეორენი — თავიანთ ძალასა და ენერგიას ბავშვთა სპორტსკოლებში მუშაობას ახმარენ, მესამენი — ფიზკულტურულ კოლექტივებში „სპორტის დედოფლის“ განვითარებისთვის იბრძვიან.

და აი, ჟურნალ „ლიოგკაია ატლეტიკას“ მსგავსად, სეზონის 10 საუკეთესო მწვრთნელის დასადგენად საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ შარშან ჩაატარა პირველი კონკურსი. ამას წინათ კი შარშანდელი მაჩვენებლების მიხედვით II კონკურსის შედეგები შეაჯამა. 1967 წელი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების წელი იყო. ამიტომ საქართველოში მომუშავე ბევრი მწვრთნელის შრომის ნაყოფიერება ამაღლდა, მაგრამ ფედერაციამ მაინც შეძლო საუკეთესოთა შორის საუკეთესოთა გამოვლინება.

ვინ არიან 1967 წლის კონკურსში გამარჯვებულნი?

საქართველოს თარჯმორბენალი ქალების შარშანდელი წარმატება დაკავშირებულია რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ელენე გოკიელის სახელთან. სწორედ მისი მეცადინეობით დაუბრუნდა სარბიელს სპორტის ოსტატი ლ. იევლევა, რომელმაც შემდეგ 80 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის ზამთრის პირველობა მოიგო, ევროპის ზამთრის პირველობასა და თასის გათამაშებაში საპრიზო ადგილები მოიხვეჭა, ხალხთა სპარტაკიადაზე კი ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა. მანვე VI ადგილი დაიკავა ესტაფეტაში 4X100 მეტრზე. შარშან იევლევამ საქართველოს ორი რეკორდი დაამყარა: 80 მ თარჯრბენში (10,6 წამი) და ხუთჭიდში (4630 ქულა). სპარტაკიადის ჩემპიონმა გასულ წელს საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმაც შეასრულა. გოკიელის დიდი დამსახურებაა, რომ თ. როუმანოვამ 80 მ თარჯრბენში პირადი რეკორდი (10,9) დაამყარა და ხალხთა სპარტაკიადის ესტაფეტაში 4X100 მეტრზე VI ადგილი დაიკავა. მოულოდნელი მარცხი რომ არა (სპორტსმენი წაიქცა), როუმანოვას სპარტაკიადაზე 80 მ თარჯრბენში საპრიზო ადგილის მოპოვების შანსი ჰქონდა. გოკიელის მესამე აღზრდილმა გ. გვინჩიძემ 110 მ თარჯრბენში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა — 14,8. ელენემ შარშან 5 სპორტსმენი აღუზარდა რესპუბლიკის ნაკრებს.

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა აკოფ კერსელიანმა შარშან რესპუბლიკურ ნაკრებს 4 ღირსეული წევრი მისცა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. სანეევი, რომელმაც სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში გასულ წელს რამდენჯერმე გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდები და ბოლოს შესაბამისად 7,90 და 16,67 მეტრამდე აიყვანა ისინი. მართალია, ხალხთა სპარტაკიადაში სანეევმა ამ სახეობებში II და IV ადგილები დაიკავა, მაგრამ შემდეგ სამხტომში ჯერ ევროპის თასის გათამაშებაში დაამარცხა ყველა ფავორიტი, მერე კი მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში ისახელა თავი და I ადგილი დაისაკუთრა. სანეევმა სამხტომში საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. იგი ახლა ჩვენი ქვეყნის ნაკრებშია და მწვრთნელთან ერთად აშშ-ს ლია პირველობაში სასპარეზოდ მიემგზავრება. კერსელიანის მოწაფეა ა. კოსტინიც. შარშან, სპარტაკიადისთვის მზადების დროს მან სოხუმში სპორტის ოსტატის ნორმატივი (10,4) შეასრულა 100 მეტრზე რბენაში, შემდეგ ეს შედეგი თბილისში რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გაიმეორა და ხალხთა სპარტაკიადაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. მანვე მოსკოვში VI ადგილი დაიკავა ესტაფეტაში 4X100 მეტრზე. ლ. შაბანოვამ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი აჩვენა 100 მეტრზე რბენაში.

ალექსანდრე შჩერბინას მარტო საქართველოში კი არა, მთელ სსრ კავშირში შესანიშნავ სპორტულ მოსიარულედ იცნობენ. მაგრამ, ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ ინჟინერმა შჩერბინამ ბოლო წლებში ახალგაზრდა სპორტსმენების აღზრდას მოჰკიდა ხელი და ნაყოფიერადაც მუშაობს. იმის მიუხედავად, რომ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის დამოუკიდებლად ემზადებოდა, მან მოამზადა საერთაშორისო სპორტის ოსტატი ი. დელაროსა, რომელმაც ხალხთა სპარტაკიადაზე 50 კმ სპორტულ სიარულში მწვრთნელსაც აჯობა და II ადგილი დაიკავა, ევროპის თასის ნახევარფინალში კი III ადგილზე გავიდა. შჩერბინას მოწაფეებმა რ. გოგეშვილმა და პ. შიტუხინმა სპორტის ოსტატობა მოიპოვეს 20 კმ სიარულში. მწვრთნელმა თვითონაც კარგად იასპარეზა — საპრიზო ადგილები დაიკავა სსრ კავშირის სპარტაკიადაშიც და ევროპის თასის გათამაშების ფინალშიც. საქართველოს ნაკრებს მან 4 წევრი მისცა.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბორის დიაჩკოვი გამოცდილი სპეციალისტია. მან წარსულშიც ბევრი სპორტის ოსტატი შემატა საქართველოს „სპორტის დედოფლის“ რაინდთა რიგებს და უქმად არც შარშან ყოფილა. დიაჩკოვის აღსაზრდელებიდან ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გ. გუდაშვილმა, ი. ყიფიანმა, ა. ანტონოვმა. გუდაშვილმა სამჯერ გააუმჯობესა რესპუბლიკის რეკორდი ბადროს ტყორცნაში და ბოლოს 58,36 მეტრამდე აიყვანა იგი, ხალხთა სპარტაკიადაში კი VI ადგილი მოიპოვა. ო. ყიფიანმა ათჭიდში 6845 ქულით სპორტის ოსტატობა მოიპოვა. ა. ანტონოვმა მოსკოვში VI ადგილი დაიკავა ესტაფეტაში 4X100 მეტრზე. შედეგები გააუმჯობესეს ათჭიდში ლ. გუგეშაშვილმა და ჭოკით ხტომაში ა. ვიბლიანმა. სულ ნაკრებში დიაჩკოვის 9 აღსაზრდელი გამოდიოდა.

საქართველოს ნაკრებს 2 სპორტსმენი აღუზარდა რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა, ქუთაისელმა ედუარდ ალიშანოვმა. მისი გაზრდილია ი. კოზელსკი, რომელმაც შარშან რესპუბლიკური რეკორდები გააუმჯობესა 200 და 400 მეტრზე თარჯრბენში, ბოლო სახეობაში კი ხალხთა სპარტაკიადაზე IV ადგილი დაისაკუთრა. იგი იყო წევრი კვარტეტისა, რომელმაც ესტაფეტაში 4X100 მეტრზე II ადგილი მოიპოვა.

ვლადიმერ სუხოტინმა საქართველოს ნაკრებს 4 სპორტსმენი მისცა. მათგან ორმა სპარტაკიადაში საპრიზო ადგილებიც მოიპოვა. ა. ანდრეევმა — ესტაფეტაში 4X100 მეტრზე (იგი VI იყო 400 მ რბენაში) და ვ. ქუთათელაძემ — ქალთა ესტაფეტაში 4X100 მეტრზე.

წარსულში რესპუბლიკის რეკორდსმენი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რევაზ ტრაპაიძე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის 400 მეტრზე მორბენლებს ამზადებდა და კარგადაც მოამზადა. ესტაფეტაში 4X400 მეტრზე ასპარეზობდნენ მისი აღზრდილები ტ. ბახტაძე და ზ. სარქისიანი. ამასთან, ბახტაძემ საქართველოში პირველმა გაუთანაბრა სპორტის ოსტატის ნორმას რესპუბლიკური რეკორდი 400 მეტრზე რბენაში. ნაკრებში შევიდა ტრაპაიძის კიდევ 2 აღზრდილი.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია ბორის შმაკოვი. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მისი შვიდი მოწაფე მონაწილეობდა. კ. გორძამაშვილმა IV ადგილი მოიპოვა შუბის ტყორცნაში, მ. ოყროშიძემ (ბირთვის კვრაში) და ი. მხეიძემ (ბადროს მტყორცნელ ქალებში) VII ადგილი დაიკავეს. ამასთან, მხეიძემ პირადი რეკორდი 50,42 მეტრამდე გაზარდა.

საუკეთესო მწვრთნელთა სიაში პირველად შევიდა უარამან საბანაშვილი. მან მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებს აღუზარდა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი შუბის ტყორცნაში (უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის) ნ. ზვიადაური, სპარტაკიადის პრიზიორები ბადროს ტყორცნაში ე. ჩამგელიანი (IV ადგილი გოგონებში) და ზ. ფოლიძე, რომელმაც ჭაბუკებში III ადგილი დაიკავა.

ალექსანდრე სადოვოიმ მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრები შეავსო ე. გაფრინდაშვილით, გ. შოშიაშვილით, ი. ჩერკაშინითა და რ. ანგელოვით. გაფრინდაშვილმა ლენინგრადში 15-16 წლის ჭაბუკთა შორის II ადგილი მოიპოვა უროს ტყორცნაში, ჩერკაშინმა — IV ადგილი 17-18 წლის ჭაბუკებში, 16 წლის შოშიაშვილი VI ადგილზე გავიდა 800 მეტრზე რბენაში, ხოლო მისი თანატოლი ანგელოვი შუბის ტყორცნაში V გახლდათ.


ვ. სუხოტინი


რ. ტრაპაიძე


ბ. შმაკოვი


ა. სადოვოი


უ. საბანაშვილი


სურათზე: მ. ოყროშიძე შეჯიბრების წინ.

მძლეოსნობა

# საქართველოს 1

## ვაჟები

სიმაღლეზე ხტომა. თ. მდივანი — 212 (40), თბილისი, „სპარტაკი“. 10. IX, ნალჩიკი; შ. ართმელაძე — 206 (42), ბათუმი, „კოლმეურნე“. 12. IX, ოჩამჩირე; ნ. სავანელიძე — 203 (48), თბილისი, „განთიადი“. 18. X, თბილისი; ო. ჩახუნაშვილი — 200 (48), თბილისი, „დინამო“. 8. VII, კისლოვოდსკი; ი. ბოლქვაძე — 200 (44), თბილისი, „დინამო“. 26. X, თბილისი; ი. არშბა — 195 (47), თბილისი, „დინამო“. 31. III, ბათუმი; ვ. პოპოვი — 195 (48), თბილისი, „შრომითი რეზერვები“. 31. III, ბათუმი; ო. ყიფიანი — 192. 11. VI, თბილისი; თ. სიმსივე — 190 (48), ქუთაისი, „სპარტაკი“. 17. V, ქუთაისი; პ. კრასნოვი — 190 (49), თბილისი, „დინამო“. 17. VII, ლენინგრადი; ა. შავლოხოვი — 190 (43), ცხინვალი, „ბურევესტნიკი“. 5. VI, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 195; 1967 წ. — 198.

სიგრძეზე ხტომა. ვ. სანეევი — 790. 21. V, ბაქო; რ. ჩუბინიძე — 758 (43), თბილისი, „სპარტაკი“. 18. IX, ბათუმი; რ. ქვაჩაკიძე — 730 (37), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 21. V, ბაქო; ი. ჩირიკაშვილი — 726 (42), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 30. III, ბათუმი; ი. დიაჩკოვი — 726. 30. IX, ლენინაკანი; ლ. დარახველიძე — 717 (39), თბილისი, „სპარტაკი“. 12. VI, თბილისი; ზ. ალხანაიძე — 705. 21. V, თბილისი; ვ. ჩუკანოვი — 692 (48), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 12. VI, თბილისი; ა. ტყემალაძე — 690 (50), თბილისი, „დინამო“. 3. VII, ცესისი; ო. ყიფიანი — 685. 11. VI, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 722, 1967 წ. — 721.

სამხტომი. ვ. სანეევი — 16,67. 17. IX, კიევი; ლ. დარახველიძე — 15,78. 28. V, თბილისი; ვ. ჩხეიძე — 15,19 (36), თბილისი, „სპარტაკი“. 2. VIII, მოსკოვი; თ. ცინცაძე — 14,95 (49), თბილისი, განათლების განყოფილება. 18. VII, ლენინგრადი; ვ. სალაკაევი — 14,72. 30. IV, თბილისი; ი. ზოლინი—14,61 (49), ცხაკაია. 22. V, თბილისი; ვ. ჩუკანოვი — 14,49. 22. V, თბილისი; გ. პაპაიანი — 14,43 (47), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 30. III, თბილისი; ნ. წერეთელი — 14,43 (42), ქუთაისი, „განთიადი“. 5. V, ქუთაისი; ს. კივა — 14,36 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი“, 30. IV, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 14,79, 1967 წ. — 14,96.

ჭოკით ხტომა. ი. დიაჩკოვი — 440. 29. III, ლესელიძე; ლ. გუგეშაშვილი — 430. 30. IV, თბილისი; ა. კოსტინი — 430. 21. V, ბაქო; მ. თათევოსიანი — 430 (47), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 8. VIII, კიევი; ა. ვიბლიანი — 420 (42). თბილისი, „დინამო“. 12. VI, თბილისი; ვ. ჩიტაიშვილი — 410 (45), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 13. VI, თბილისი; ვ. ზუბკო — 400 (48), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 13. VI, თბილისი; ა. ჩეკუშკინი — 393 (47), თბილისი, „სპარტაკი“. 28. V, თბილისი; ბ. გავრილოვი — 370 (47), თბილისი, ასკ. 21. V, თბილისი; ვ. ხართიშვილი — 370 (45), თბილისი, განათლების განყოფილება. 18. VII, ლენინგრადი; ჯ. სულიაშვილი — 370 (50), თბილისი, „განთიადი“. 13. X, რუსთავი.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 398, 1967 წ. — 408.

ბადროს ტყორცნა. გ. გუდაშვილი — 58,36 (41), თბილისი, „დინამო“. 5. VII, ... ვ. ტარანი — 53,49 (39), თბილის... 12. X, რუსთავი; გ. ხუციანიძე — ... თბილისი, „ბურევესტნიკი“. 28. ... თ. მექურჭლიშვილი — 44,41 (... „განთიადი“. 28. IV, თბილისი; ... 43,60 (43), ფოთი, „სპარტაკი“. ... ლ. გუგეშაშვილი — 43,37. 5. VII ... კი; ი. დიაჩკოვი — 43,35. 1. ... თ. თაბუევი — 42,20 (44), ცხინ... მო“. 11. V, თბილისი; ჯ. გოგიბ... (48), თბილისი, „ბურევესტნიკი“. ... ლისი; ლ. ნანიევი — 41,50 (... „განთიადი“. 6. II, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — ... — 45,69.

შუბის ტყორცნა. კ. გორძამაშ... (42), თბილისი, „დინამო“. 31. ... მ. გრივა — 73,06 (44), თბილის... ტივი“. 15. VIII, ორიოლი; ლ. შ... (38), ბათუმი, „დინამო“. 18. VI... ნანიევი — 68,32. 17. VIII, ცხინ... ძე — 66,90 (41), თბილისი,

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 19, 20.

სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

# ორი კალენდარული თვის შემდეგ

ჩვენი მიმომხილველი

მიიწურა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე კალენდარული თვე. მიუხედავად იმისა, რომ მარათონული ტურნირი ეკვატორს უახლოვდება, სატურნირო ცხრილი ჯერჯერობით ერთ დიდ გამოცანას ჰგავს, სადაც მხოლოდ ერთი რამ არის ცხადზე უცხადესი — აუტსაიდერის ვინაობა.

მაშ ასე, მრავალუცნობიან განტოლებაში, რომელსაც აგრერიგად წააგავს ჩემპიონატი მოცემულ ეტაპზე, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბაქოს „ბურევესტნიკს“ ვერარაფერი უშველის. როგორც ხედავთ, დასკვნა ერთობ კატეგორიულია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მას საფუძვლად უდევს ელემენტარული ციფრები, რომლებიც უზუსტესად გამოხატავენ აზერბაიჯანელთა მდგომარეობას სატურნირო ცხრილში.

„ბურევესტნიკმა“ დღეისთვის ჩაატარა 18 მატჩი, მოიგო 1 და წააგო 17. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია. აზერბაიჯანელებს აქვთ გატანილი და მიღებული ბურთების აბსოლუტურად უარესი სხვაობა — 269, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ მატჩს ისინი საშუალოდ 15 ქულით აგებენ.

ბაქოელებმა თავიანთ მინდორზე 10 მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ 1 ქულა აიღეს (ისიც თბილისის „ბურევესტნიკთან“ — 56:54). გასვლით შეხვედრებში, ბუნებრივია, მათ არც შეეძლოთ წარმატებაზე ფიქრი (რვაჯერ დატოვეს მოედანი დამარცხებულებმა). სწორედ ეს გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ დაბალ ლიგაში გადასვლის ყველაზე რეალური პრეტენდენტი ბაქოს გუნდია.

ახლა კი სხვა გუნდებზე. პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ 12-12 ქულა დააგროვეს კიევის არმიელებმა, ლენინგრადის „სპარტაკმა“ და თბილისის „დინამომ“. ამ სამეულში უკეთესი მდგომარეობა აქვთ უკრაინელებს, რომლებმაც ჯერჯერობით მხოლოდ 4 ქულა დაკარგეს. სხვათა შორის, პოტენციურ ლიდერთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ კიევის „სტროიტელიც“ და ცსკა-ც, რომლებმაც მხოლოდ 5-5-ჯერ დატოვეს მოედანი დამარცხებულებმა. როცა ლიდერებზეა ლაპარაკი, არ უნდა დავივიწყოთ ტარტუს „კალევი“ და რიგის ვეფ-ი, რადგან მათ უკვე აქვთ დაგროვილი 10-10 ქულა, ანუ ორით ნაკლები, ვიდრე პირველ სამ ადგილზე მყოფ კოლექტივებს.

გამოდის, რომ ჩემპიონატს ჰყავს დაახლოებით 7 ლიდერი, 2 აუტსაიდერი (ჩვენ ზემოთ არაფერი ვთქვით „ურალმაშზე“, რომელიც ბევრით არ უსწრებს ბაქოს „ბურევესტნიკს“) და სამეული, რომელიც ოქროს შუაგულს შეადგენს, მაგრამ, ამავე დროს, ლიდერებს კვალდაკვალ მისდევს. ამ ბოლო კატეგორიის, კაუნასის „ჟალგირისისა“ და რიგის არმიელთა გარდა თბილისის „ბურევესტნიკიც“ მიეკუთვნება, რომელმაც გუშინწინ მრწყინვალე სტილში დაამარცხა ტარტუს „კალევი“ — 75:56. თბილისელებს ჩასატარებელი დარჩათ 4 მატჩი რიგაში (ვეფ-თან და ასკ-სთან), შემდეგ კი შინ დაბრუნდებიან.

თბილისის „დინამომ“ ბოლოსდაბოლოს დაამთავრა ხანგრძლივი ტურნე. 10 გასვლითი მატჩიდან მან 6 მოიგო, 4 კი წააგო. მათ შორის ორ შეხვედრაში (ლენინგრადის „სპარტაკთან“ და რიგის ვეფ-თან) ქულათა სხვაობა იყო მინიმალური. როგორც ხედავთ, ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო გუნდი შინ არც ისე ცუდი მაჩვენებლებით ბრუნდება.

გუშინწინ გაიმართა კიდევ ერთი კალენდარული შეხვედრა. ლენინგრადის „სპარტაკმა“ დაამარცხა ბაქოს „ბურევესტნიკი“ — 101:75.

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (კიევი) | 16 | 12 | 4 | 1126—1072 | 12 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 18 | 12 | 6 | 1342—1247 | 12 |
| „დინამო“ (თბილისი) | 18 | 12 | 6 | 1319—1234 | 12 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 16 | 11 | 5 | 1064—1021 | 11 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 18 | 10 | 8 | 1191—1165 | 10 |
| ვეფ (რიგა) | 20 | 10 | 10 | 1466—1433 | 10 |
| ცსკა | 14 | 9 | 5 | 898—846 | 9 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 16 | 8 | 8 | 1145—1106 | 8 |
| ასკ (რიგა) | 18 | 7 | 11 | 1302—1320 | 7 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 14 | 6 | 8 | 887—887 | 6 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 14 | 2 | 12 | 1022—1162 | 2 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 18 | 1 | 17 | 1236—1505 | 1 |


ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში თითქმის ყველა საამქროში დიდი ხანია დაინერგა საწარმოო ტანვარჯიში.

ს უ რ ა თ ზ ე: ფიზკულტურული პაუზა ფართო მოხმარების საამქროში.

ფოტო ვ. გენგიურისა.

# როცა შედეგები შეჯამდა

სამ თვეზე მეტს გასტანა სსრ კავშირის ფიზკულტურის ინსტიტუტების საიუბილეო სპარტაკიადამ, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 14 ინსტიტუტმა მიიღო მონაწილეობა. ეს შეჯიბრება რიგით მეხუთეა. წინა, IV სპარტაკიადა 1964 წელს ჩატარდა 12 სახეობაში. ჩათვლაში ყველა სახეობა შედიოდა. მაშინ ჩვენმა კოლექტივმა IV ადგილი დაიკავა.

სპარტაკიადის მონაწილენი ამჯერად 15 სახეობაში ასპარეზობდნენ. აქედან ჩათვლაში შედიოდა 3 სავალდებულო (სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა) და 4 არჩევითი სახეობა. ჩოგბურთი და ფრენბურთი პროგრამაში არ შეუტანიათ, წინა სპარტაკიადაში კი ჩვენმა გუნდებმა I ადგილები სწორედ ამ სახეობებში დაიკავეს. ჩათვლის ამგვარმა სისტემამ საკმაოდ გაამნელა საპრიზო ადგილის მოპოვება.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი კარგად მოემზადა ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის და წარმატებასაც მიაღწია: საერთო ჩათვლაში IV საპრიზო ადგილი დაიკავა (124 ქულა). I ადგილზეა მოსკოვი (138), II — ვოლგოგრადი (126), III — ლენინგრადი (125), V — კიევი (123), VI — მინსკი (118).

კარგად გამოვიდნენ საქართველოს ფრენბურთელი ვაჟები (მწვრთნელი ი. ნიკოლაიშვილი) და მოკრივეები (მწვრთნელები შ. გორგასლიძე, ვ. ძნელაძე), რომლებმაც I ადგილი მოიხვეჭეს. II ადგილზე არიან ფრენბურთელი ქალები (მწვრთნელი ე. ამირანაშვილი) და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები (მ. თიკანაძე, ი. ალიხანოვი). III ადგილი დაიკავეს კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა (გ. ვარძელაშვილი), IV — ტანმოვარჯიშეებმა (ა. ჯორჯაძე, გ. ბაბილოძე, ს. თედეევი, გ. კილაძე), V — აკრობატებმა (ო. კაკიაშვილი) და ძალოსნებმა (მ. ყლენტი) და ა. შ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოკრივეთა წარმატება. ამ სახეობაში შეჯიბრება სპარტაკიადის ბოლოს გაიმართა. მანამდე ჩვენი კოლექტივი საერთო ჩათვლაში V ადგილზე იყო და IV ადგილზე გადასვლა მხოლოდ კრივში გამარჯვებით შეგვეძლო. მოკრივეებმა ეს ამოცანა წარმატებით შეასრულეს და საერთო ჩათვლაში წინ წაგვწიეს.

უკეთესი შედეგების მოპოვება შეგვეძლო აკრობატიკაში, ფარიკაობაში, მხატვრულ ტანვარჯიშში. რაც შეეხება კალათბურთს, ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რომ ამ სახეობაში უკეთ ვერ ვიასპარეზებდით, მაგრამ ახალგაზრდული გუნდები (უმეტესობა პირველკურსელებითაა დაკომპლექტებული) მაინც ჩავაბით შეჯიბრებაში გამოცდილების მიღების მიზნით. პირად ასპარეზობაში პირველობა მოიპოვეს მოკრივეებმა მ. არუთინოვმა, მ. სვანიძემ, ვ. კლუჩნიკოვმა, კლასიკური სტილით მოჭიდავეებმა ე. ღუდუშაურმა, ა. მირზოევმა, ო. ბლიაძემ, ტანმოვარჯიშე რ. კაჰახიძემ და მოფარიკავე გ. ლორთქიფანიძემ.

მ. მაისურაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,

ჯ. ათაბეგოვი,
ინსტიტუტის სპორტკლუბის თავმჯდომარე.

„ლელო“ პასუხი...

დერჯოლის რაიონის სოფ. ეწერის მცხოვრები თ. აბესაძე გვეკითხება:

**1. შეიძლება თუ არა უხეში თამაშის ან ხულიგნური საქციელისთვის მინდვრიდან გაძევებულ იქნას მეკარე და დასაშვებია თუ არა მისი ადგილი კარში დაიკავოს მინდვრის რომელიმე მოთამაშემ?**

მეკარე ისეთივე მოთამაშეა, როგორც სხვა 10 დანარჩენი, ამიტომ მისი მინდვრიდან გაძევება შეიძლება. კარში მის ადგილს დაიკავებს ნებისმიერი სხვა მოთამაშე (მას უკვე ხელით თამაშის უფლება ენიჭება საჯარიმო მოედანზე), მაგრამ ამის შესახებ წინასწარ უნდა იქნას გაფრთხილებული მსაჯი.

**2. ვთქვათ, თამაშის დროს გუნდის კაპიტანი დაშავდა (ან შეიცვალა), ვინ იქნება ამ შემთხვევაში გუნდის კაპიტანი: შემცვლელი მოთამაშე?**

რატომ? გუნდის კაპიტანს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასეთ შემთხვევაში თავის თავზე იღებს კაპიტნის ფუნქციებს.

* * *

**ი. ქირიამ (თბილისი) გამოგვიგზავნა შეკითხვა, რომელიც ილუსტრირებულია ნახატით: A მოთამაშე ასრულებს 11-მეტრიან დარტყმას. მოწინააღმდეგე მეკარე, როგორც ეს წესია, დგას ხაზზე, მაგრამ მის ზურგს უკან, კარში, ხაზს იქით დგანან B და B მცველები. ქირია გვეკითხება: დასაშვებია თუ არა ასეთი რამ? ისინი ხომ მინდვრის ფარგლებში არ იმყოფებიან?**

არა! მცველებს კარში ჩადგომის უფლება არა აქვთ. თამაშის წესებში გარკვევით წერია: „11-მეტრიანი დარტყმის შესრულებამდე, ყველა მოთამაშე, გარდა დამცველი გუნდის მეკარისა და დარტყმის შემსრულებლისა, უნდა იმყოფებოდეს მინდვრის ფარგლებში, საჯარიმო მოედანს გარეთ, არაუახლოეს 9 მეტრისა ბურთისგან“.

# ურალელთა ტრიუმფი გრძელდება

რიგა, 30 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე კალენდარული დღე სვერდლოვსკის „ურალმაშის“ ახალი გამარჯვებით აღინიშნა. ურალელებმა ამჯერად დაამარცხეს ნოვოსიბირსკის დინამოელები — 70:37. ანგარიში, როგორც ხედავთ, დამაჯერებელია, მაგრამ პირველი ტაიმის მიხედვით ძნელი სათქმელი იყო, თუ ვის დარჩებოდა გამარჯვება. „დინამო“ პირველ 20 წუთში იბრძოდა თავგამოდებით და თამაშის სადავეები მეტოქეს ფაქტიურად II ტაიმში გადასცა. „ურალმაშმა“ რიგაში ზედიზედ 3 თამაში მოიგო.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები დამარცხდნენ კიევის „დინამოსთან“ შეხვედრაში — 59:63.

მეტად დაძაბული გამოდგა ლენინგრადის არმიელთა მატჩი ტაშკენტის „ტექსტილმაშთან“. ლენინგრადელებს წლეულს პირველად მიეცათ გამარჯვების საშუალება, მაგრამ შეხვედრის ბოლო წამზე „ტექსტილმაშმა“ გაათანაბრა ანგარიში — 59:59. დამატებით ხუთ წუთში სურათი მკვეთრად შეიცვალა. ინიციატივა ხელთ იგდეს ტაშკენტელებმა და შეხვედრაც თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 62:59.

მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა“ მოუგო კაუნასის „პოლიტექნიკას“ — 47:46, ხოლო რიგის ტტტ-მ — მოსკოვის „დინამოს“ — 71:57.

დღეისთვის ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს ტტტ, რომელსაც 8 შეხვედრიდან 8 ქულა აქვს. II ადგილზეა მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ — 7 ქულა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი 5 ქულით VI-VII ადგილებს იყოფს.

# ... საუკეთესო

## 1967 წლის შედეგების მიხედვით

I, ლოვოდსკი;
განთიადი“.
4,43 (47),
თბილისი;
თბილისი,
ტარანი —
V, ფოთი;
ლოვოდს-
ლენინაკანი;
„დინა-
— 42,20
IX, თბი-
ცხინვალი,
1967 წ.
— 77,38
მოსკოვი;
„ლოკომო-
— 70,55
ბათუმი; ლ.
ნ. მგელა-
„სპარტაკი“.

30. IV, თბილისი; ლ. აროშიძე — 66,50 (43), თბილისი, ასკ. 18. IV, ლესელიძე; ი. კოვინკო — 65,44 (48), თბილისი, „დინამო“. 31. III, ბათუმი; ნ. ზვიადაური — 64,24 (50), თბილისი, განათლების განყოფილება. 18. VII, ლენინგრადი; ვ. რიაბინკინი — 62,86 (47), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 14. VI, თბილისი; ნ. ზაგორუიკო — 62,40 (45), ბათუმი, „დინამო“. 11. IX, ბათუმი.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 68,14, 1967 წ. — 67,72.

უროს ტყორცნა. ო. ოდიშვილი — 57,90 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 19. V, თბილისი; ქ. ჩერკაშინი — 55,40 (46), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 25. II, თბილისი; ა. ბაგაური — 54,74 (45), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 3. VI, თბილისი; ი. ჩერკაშინი — 53,66 (49), თბილისი, „ბურევესტნიკი“, 21. VII, ლენინგრადი; ო. ორთილაყვა — 53,56 (37), თბილისი, „ლოკომოტივი“. 13. VI, თბილისი; შ. შანიძე — 51,48 (39), თბილისი, „სპარტაკი“. 28. IV, თბილისი; გ. სედიხი — 51,48 (49), თბილისი, „დინამო“. 21. X, თბილისი; დ. ნარიმანიძე — 51,10 (49), თბილისი, „დინამო“. 21. X, თბილისი; ი. ფხაკაძე — 49,74 (51), თბილისი, „დინამო“. 24. XI, თბილისი; რ. ჩიტაიშვილი — 49,40 (47), თბილისი, „განთიადი“. 7. II, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 52,98, 1967 წ. — 52,81.

ბირთვის კვრა. მ. ოყროშიძე — 17,54 (44), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 30. IX, ლენინაკანი; თ. მეჭურჭლიშვილი — 16,12. 7. II, რუსთავი; ბ. ხარჩილავა — 15,21 (42), ქუთაისი, „განთიადი“, 15. III, თბილისი; ი. დიაჩკოვი — 15,08. 30. IX, ლენინაკანი; ო. გოშაძე — 14,78 (38), თბილისი, „ლოკომოტივი“. 12. VI, თბილისი; ვ. ტარანი — 14,60. 12. VI, თბილისი; გ. გუდაშვილი — 14,48. 21. V, ბაქო; ლ. სოხლულაშვილი — 14,32 (38), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 12. VI, თბილისი; ლ. ნანიევი — 13,95. 4. VI, ცხინვალი; კ. გორძამაშვილი — 13, 54. 17. II, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 15,13, 1967 წ. — 14,94.

ათჭიდი. ლ. გუგეშაშვილი—6.960. 29-30. IV, თბილისი; ი. დიაჩკოვი — 6.941. 30. IX-1.X, ლენინაკანი; ო. ყიფიანი — 6.845. 12-13. X, რუსთავი; ი. ჩირიკაშვილი — 6.750. 29-30. IV, თბილისი; მ. გრივა — 6.602. 29-30. IV, თბილისი; ა. ვიბლიანი — 6.343. 29-30. IV, თბილისი; ო. კობჩიკი — 6.021. 12-13. X, რუსთავი; მ. მოსიკაშვილი — 5.997 (47), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 29-30. IV, თბილისი; გ. არაჰამია — 5.935 (38), თბილისი, „ბურევესტნიკი“. 29-30. IV, თბილისი; მ. ტუღუში — 5.659. 29-30. IV, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1966 წ. — 6.142, 1967 წ. — 6.406.

ათეულების საშუალო მონაცემები სიმაღლეზე და ჭოკით ხტომაში, აგრეთვე სამხტომში გაუმჯობესდა, სიგრძეზე ხტომაში კი გაუარესდა. მხტომელთა ამ ერთგვარ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სოხუმელ ვ. სანეევს, რომელმაც სამხტომში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, ქვეყნის ნაკრებში ჩაირიცხა და ევროპის თასის გათამაშებაში პირველობა მოიპოვა. შარშან კარგად გამოვიდა სიმაღლეზე ხტომაში თ. მდივანიც. მისი მაჩვენებელი (212 სმ) 5 სანტიმეტრით ჩამორჩება რ. შავლაყაძის რესპუბლიკურ რეკორდს და მეორე შედეგია საქართველოს მძლეოსნობის ისტორიაში. მაგრამ მდივნის ნაკლი არასტაბილურობაა. პირადი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში დაამყარა შ. ართმელაძემაც. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი საუკეთესო მაჩვენებლებს მეორეხარისხოვან ტურნირებში აღწევს და რესპუბლიკის ნაკრებისთვის ნაკლებად საიმედოა. ნელა იზრდება ნ. საგანელიძის შედეგები.

სიგრძეზე ხტომაში რ. ჩუბინიძემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, მაგრამ მასაც არასტაბილურობა ახასიათებს. ჩვენი რესპუბლიკის მხტომელებიდან სსრ კავშირის ათეულებში მოხვდნენ: ვ. სანეევი (სიგრძეზე ხტომა — IV, სამხტომი — III) და თ. მდივანი (სიმაღლეზე — IV-V). ამას გარდა, სანეევი მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა შორის VI ადგილზეა სამხტომში და XVII — სიგრძეზე ხტომაში.

ბადროს ტყორცნაში გ. გუდაშვილისა და უროს ტყორცნაში ო. ოდიშვილის რესპუბლიკური რეკორდების მიუხედავად, ტყორცნაში ათეულის საუკეთესო მაჩვენებლები გაუარესდა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ საშუალო შედეგები შუბის ტყორცნაში მეორე წელია ქვეითდება. ამ წარუმატებლობის მთავარ მიზეზად თბილისში სააპარეზო სექტორებისა და თანამედროვე ინვენტარის უკმარობაც მიგვაჩნია. ჩვენი მტყორცნელებიდან საკავშირო ათეულებში არიან — გუდაშვილი (VI), ოყროშიძე (IX), გორძამაშვილი (X).

(გაგრძელება იქნება)

# ჰოკეის ფუძემდებელთა ოქროსფერი იმედები

## ჟურნალისტის ჩანაწერები

კანადის გენერალ-გუბერნატორი როლანდ მიჩენერი ერთ საღამოს გამდიდრდებოდა, ნიძლავი რომ დაედო, სსრ კავშირის ნაკრები წააგებსო. ჰოკეის ახალ სტადიონზე იმ საღამოს ათი ათასმა ოტაველმა მოიყარა თავი და მათგან ალბათ არც ერთს არ მოსვლია აზრად, რომ კანადელები საბჭოთა გუნდს მოუგებდნენ. „მე ვერ გავბედე ნიძლავის დადება. თქვენი ჰოკეისტები უძლეველი მოთამაშეების სახელით არიან ცნობილი", — თქვა გენერალ-გუბერნატორმა მატჩის შემდეგ, რომელიც ამჯერად კანადელებმა მოიგეს.

შეხვედრა ოტავაში ბოლო იყო მატჩების სერიიდან, რომელიც სსრ კავშირის გუნდმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ჩაატარა. საბჭოთა გუნდი უკვე დაქანცული იყო. იგი დილაადრიან გადმოფრინდა ედმონტონიდან და პირდაპირ თვითმფრინავიდან გამოვიდა ყინულზე. ბიჭებს არც კი უსადილიათ რიგიანად. „საავიაციო" სადილი, რომელიც ჩვენებს სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე მიართვეს, ტურისტისთვის შეიძლება საკმარისიც ყოფილიყო, ჰოკეისტებისთვის კი არ კმაროდა. წაგება ძალზე საგრძნობი იყო — 2:8.

„ხანდახან მეჩვენებოდა, რომ საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა საერთაშორისო ინციდენტად შეიძლებოდა ქცეულიყო", — იხუმრა თამაშის შემდეგ როლანდ მიჩენერმა. ამ ხუმრობას თავისი საფუძველი ჰქონდა. თამაში ძალიან უხეში იყო. კანადელებს ბინძური ხერხების მდიდარი არსენალი აქვთ და მოხერხებულად იყენებენ მას, რათა მეტოქე წონასწორობიდან გამოიყვანონ. ყოფილი პროფესიონალი ჯეკ ბოუნასიც კი მოედანზე ანგელოზივით მშვიდი ჩანდა ბევრ თავის პარტნიორთან შედარებით. „ბოუნასი რა ყოფილა! — თქვა ვ. სტარშინოვმა, — მან შეიძლება მხოლოდ ხელი ჩაგავლოს, სხვები კი აშკარად გირტყამენ".

თუმცა აშკარად უნდა ითქვას, რომ კანადელები ძალიან ძლიერად თამაშობდნენ. „ჩვენ ნაკლები იმედი გვაქვს იმისა, რომ სსრ კავშირის მძლავრ ნაკრებს მოვუგებთ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ეს გუნდი კანადიდან დაუმარცხებელი არ გავუშვათ", — მითხრა თამაშის წინ ჯეკ ბოუნასმა. მისი პროგნოზი გამართლდა. კანადის ნაკრებმა გაიმარჯვა. ამ მარცხის გამო არ შეშფოთებულან მხოლოდ მწვრთნელები — არკადი ჩერნიშევი და ანატოლი ტარასოვი. „ანგარიში, რასაკვირველია, უსიამოვნოა, მაგრამ წაგება ჩვენთვის საჭირო იყო. იგი ერთგვარი გაფრთხილებაა გუნდისთვის და ამიტომ სასარგებლოც არის. გრენობლში სუსტი მეტოქეები არ იქნებიან", — თქვა ჩერნიშევმა. მისი აზრით, ამ მოგზაურობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მან გამოავლინა გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები. მწვრთნელები კმაყოფილი არიან თავიანთი მოთამაშეებისა, რომლებმაც ვინიპეგის ტურნირი მოიგეს.

ოტავის მატჩმა ჩვენი მთავარი მეტოქეებიც დააფიქრა. მაკლეოდმა და ბაუერმა უკვე დააკომპლექტეს თავიანთი გუნდი, გრენობლში მათ მიჰყავთ ვინიპეგის ნაკრები, რომელიც გასულ წლებში იცავდა კანადის ღირსებას და რომლის შვიდი წევრიც 10 იანვარს საგანგებოდ მიიწვიეს ოტავაში აღმოსავლეთი პროვინციების გუნდის გასაძლიერებლად. სწორედ მათ გაიტანეს ყველა შაიბა ჩვენს კარში. აღმოსავლეთის გუნდიდან მამა ბაუერს მიჰყავს მხოლოდ ერთი მოთამაშე — თავდამსხმელი ბობი ბერი. „ჯეკ ბოუნასსაც წავიყვანდი, მაგრამ იგი ყოფილი პროფესიონალია და ნაკრებში თამაშის უფლებას მხოლოდ გაისად მიიღებს. და მაშინ მას უთუოდ ჩავრიცხავთ გუნდის შემადგენლობაში", — ამბობს ბაუერი.

კანადის სამოყვარულო ჰოკეი ამჟამად აღმავლობის გზაზეა. მას მფარველობს ყველა, — ლუდის ქარხნების მეპატრონეცა და პრემიერ-მინისტრიც, რომელმაც ჰოკეისტებს საგანგებო მიმართვა გაუგზავნა. სულ ახლახან მოყვარულთა შეხვედრებს ესწრებოდნენ მხოლოდ მათი ნათესავ-მეგობრები და პოლიციელები, რომლებსაც მუნიციპალიტეტი გზავნის სტადიონებზე წესრიგის დასამყარებლად. პოლიციელები კანადაში ჰოკეის სპექტაკლების უცილობელი მონაწილენი არიან. კანადის გულშემატკივართა შორის ხულიგნების პროცენტი საკმაოდ მაღალია. ისინი სარგებლობენ ყველა პაუზით, რომ მინდორი ბოთლებითა და ათასგვარი საგნებით აავსონ.

ბოლო თამაშებს გულშემატკივართა სარეკორდო რაოდენობა დაესწრო. ეს იმით აიხსნება, რომ მატჩები საერთაშორისო იყო და მათში მსოფლიო ჩემპიონები მონაწილეობდნენ. მაგრამ მოყვარულთა თამაშის კლასიც საგრძნობლად ამაღლდა. კანადის ეროვნულ ნაკრებს აქტივში აქვს ორი მოგება „დიდი ექვსეულის" პროფესიონალთა კლუბთან „ნიუ-იორკრეინჯერსთან". კანადის სამოყვარულო ჰოკეის წინსვლას საბჭოთა მწვრთნელებიც ადასტურებენ. „განსაკუთრებით გაუუმჯობესებიათ ათლეტური მომზადება, — შენიშნა არკადი ჩერნიშევმა. — კანადელთა ამტანობა ახლა გაცილებით მეტია და ისინი სამივე პერიოდს კარგად უძლებენ".

კანადის ნაკრების ბაზა სტუდენტური ჰოკეია. გუნდის ხელმძღვანელები ცდილობენ ახალგაზრდები დააინტერესონ და ჩააბან მოყვარულთა უძლიერეს გუნდებში — ქვეყნის დასავლეთი და აღმოსავლეთი პროვინციების ნაკრებ კოლექტივებში. მამა ბაუერი ამბობს: — „ჩვენ ვცდილობთ ჰოკეის ცხრილი ისე შევადგინოთ, რომ იგი ხელს არ უშლიდეს სასწავლო ცხრილს, მეცადინეობას. გვინდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ არც ერთ ახალგაზრდა კანადელს, რომელიც ჰოკეისტის კარიერაზე ოცნებობს, ამ ოცნების გასახორციელებლად სწავლის მიტოვება არ დასჭირდეს".

კანადის ეროვნული ნაკრების (ცენტრი — ვინიპეგი) მთავარი რეზერვია აღმოსავლეთი პროვინციების ნაკრები, რომლის ბაზაც ოტავაშია. ახლა მას აქვს შესანიშნავი ახალი მოედანი და ტრიბუნები 10 ათასი მაყურებლისთვის, მაგრამ ეს სტადიონი მაინც ვერ იტევს ყველა მსურველს. ოტავა კი არასოდეს ყოფილა ჰოკეის ქალაქი, როგორიც იყო, მაგალითად, მონრეალი, ტორონტო, ვინიპეგი, ვინძორი, ვანკუვერი.

სამოყვარულო ჰოკეის პოპულარობის ზრდას მოწმობს დაინტერესება ტელევიზიისა, რომელმაც ვინიპეგის ტურნირიც გადასცა და ოტავის მატჩიც. ერთიორი წელიც და თუ წააგეს, კანადელი ჰოკეისტები იძულებული იქნებიან ისევე ჩუმად შეიპარონ სამშობლოში, როგორც ბრაზილიელი ფეხბურთელები ინგლისში დამარცხების შემდეგ.

კანადელები სერიოზულად ფიქრობენ, რომ 1970 წლის მსოფლიო პირველობა ოტავაში ჩატარდება. „მოგვბეზრდა ერთი და იგივე შეკითხვა: „რატომ აგებთ ევროპაში?" — თქვა რეი კიდიომ, ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა, — სჯობს გულშემატკივრებმა თავისი თვალით ნახონ ეს".

1970 წელს პირველი ნაკრების შემადგენლობაში შევა ათამდე ოტაველი მოთამაშე. ისინი ახლაც ძლიერად თამაშობენ, თუმცა ჯერ კიდევ ჩამოუვარდებიან თავიანთ კოლეგებს დასავლეთიდან. საკმარისია გავიხსენოთ მათი გამარჯვება სსრ კავშირის მეორე ნაკრებთან შარშან დეკემბერში. ოფიციალურად მათ ეკუთვნით ეს მოგებაც პირველ საბჭოთა ნაკრებთან, თუმცა აღმოსავლეთი პროვინციების გუნდში შვიდი ვინიპეგელი თამაშობდა. ეს დაამტკიცა ბაუერმაც: „ერთი-ორი წლის შემდეგ ორივე კლუბს თანაბარი პრეტენზია ექნება კანადის ნაკრებში თამაშისა".

ამ დღეებში კანადელ გულშემატკივრებს, რომელთა რიცხვში გენერალ-გუბერნატორი და პრემიერ-მინისტრიც შედიან, სწამთ, რომ მათი გუნდი გრენობლში წარმატებას მოიპოვებს. კანადელები არ მალავენ, რომ იმედი ოქროსფერად შემოსილი ეჩვენებათ.

ბ. კოროლიოვი,
აპნ-ის კორესპონდენტი კანადაში.

## უცხოეთის ფეხბურთი

### იუგოსლაველები ემზადებიან

იუგოსლაველი მიმომხილველები კმაყოფილებას გამოთქვამენ ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალის კენჭისყრის შედეგებით, რომელმაც მათ გუნდს მეტოქედ საფრანგეთის ნაკრები არგუნა. ჯერ ერთი, ფრანგები ჯერჯერობით ვერ გამოვიდნენ ხანგრძლივი კრიზისიდან, მეორეც, ისინი მუდამ წარუმატებლად თამაშობდნენ იუგოსლაველთა წინააღმდეგ.

ჯერჯერობით იუგოსლავიის ნაკრების მოთამაშეები წვრთნას თავიანთ კლუბებში გააგრძელებენ. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი რ. მიტიჩი ამის თაობაზე მოელაპარაკა კიდეც კლუბების ხელმძღვანელებს. „ცრვენა ზვეზდა" გაემგზავრა მექსიკაში, სადაც დიდ საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. მექსიკაშივე ჩაატარებს გასტროლებს სარაევოს „ჟელეზნიჩარი". ზაგრების „დინამო" გაემგზავრება სამხრეთ ამერიკაში, ბელგრადის „პარტიზანი" — ბულგარეთში. სპლიტის „ჰაიდუკი" ემზადება ხანგრძლივი ტურნეს ჩასატარებლად გფრ-სა და ბელგიაში, „რიეკა" მიემგზავრება გდრ-ში, ხოლო „ველეჟი" — ლიბიაში. 10 მარტისთვის ყველა გუნდი იუგოსლავიაში უნდა დაბრუნდეს, სადაც იწყება ჩემპიონატის საგაზაფხულო წრე.

ჩემპიონატის თამაშების განახლებასთან ერთად რ. მიტიჩი აპირებს მოაწყოს ნაკრების მოთამაშეთა ხანგრძლივი შეკრება.

●

### „როგორ მოვიგოთ?"

ასე ეწოდება წიგნს, რომელიც ამას წინათ გამოვიდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამ წიგნში ფეხბურთის აქტუალურ პრობლემებს ეხებიან გამოჩენილი სპეციალისტები ზ. ჰერბერგერი (გფრ), მ. ბასბი, ტ. დოჰერტი (ორივე — შოტლანდია), ნ. ჰიდეგკუტი (უნგრეთი), ე. ერერა (იტალია), ა. ბატიო (საფრანგეთი), მ. მუნოსი (ესპანეთი), ვ. ფეოლა (ბრაზილია) და ჯ. რაინორი (ინგლისი).

●

### „ლანსის" მოულოდნელი წინადადება

საფრანგეთის I ლიგის კლუბმა „ფკ ლანსმა" გადაწყვიტა უცხოელი ვარსკვლავების ყიდვით მომძლავრდეს და ჩემპიონობისთვის იბრძოლოს.

პირველ ყოვლისა, ფრანგებმა მიიპატიჟეს უნგრეთის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ფ. ალბერტი, რომელსაც დიდი თანხა აღუთქვეს. ალბერტმა „ფკ ლანსს" შეუთვალა, რომ არ ემდურის თავის კლუბ „ფერენცვაროშს" და არც უნგრეთის დატოვებას აპირებს.

●

### ბრაზილიური ტრიუმვირატი

როგორც ცნობილია, 1966 წელს ინგლისში განცდილი მარცხის შემდეგ ბრაზილიის ნაკრებს ხელმძღვანელობს ა. მორეირა, მაგრამ, ეტყობა, მის საქმიანობას მეტ კონტროლს უწევენ, ვიდრე მის წინამორბედ ვ. ფეოლას.

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ჩამოაყალიბა სპეციალური „ტრიუმვირატი", რომელშიც შედიან „სანტოსის" მწვრთნელი ლულა, „სან-პაულუს" მწვრთნელი დიდი და „ფლუმინენსეს" მწვრთნელი ტიმი. მათი მოვალეობაა დაეხმარონ მორეირას და თვალყური ადევნონ იმ მოთამაშეთა საბრძოლო მზადყოფნას, რომლებიც ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან.



▲ ნიუ-იორკი. მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში გაიმართა აშშ-ს ფიგურისტთა პირველობა. ყველას აჯობეს: ქალებში — ფლემინგმა, ვაჟებში — ლეზნოვიჩმა, წყვილთა სრიალში — და-ძმა კაუფმანებმა.

▲ ბონი. ვ. დემელი, რომელმაც მოიგო გფრ-ის ჩემპიონატი 15 კილომეტრზე თხილამურებით რბენაში (46.48,0), გრენობლის ოლიმპიადაში გამოვა და მისი წარმატების დიდი იმედი აქვთ.

▲ სან-მორიცი. ბობსლეიში ევროპის პირველობა ოთხადგილიანი ციგებით შვეიცარიელებმა მოიგეს. II ადგილზეა რუმინეთის, III — ინგლისის გუნდი. ამის მიუხედავად, გრენობლში გამარჯვებას ინგლისის კვარტეტს უწინასწარმეტყველებენ.

▲ ტოკიო. ტანმოვარჯიშე ვაჟებში იაპონიის ჩემპიონი გახდა ნაკაიამა — 115,6 ქულა. კატომ 114,65 ქულა დააგროვა და II ადგილს დასჯერდა.

▲ მელბურნი. 13 წლის კ. მორასმა ავსტრალიის ქალთა ახალი რეკორდი დაამყარა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 9.23,9. ეს ამ სახეობის ისტორიაში მეორე შედეგია მსოფლიო რეკორდსმენ დ. მაიერის (აშშ) მაჩვენებლის (9.22,9) შემდეგ. ავსტრალიის რეკორდი გააუმჯობესა ჯ. ბერნესმაც — 200 მ ბრასით მან 2 წუთსა და 47 წამში გაცურა.

## რეკორდები, რეკორდები...



ავტოსპორტის მოყვარულები კარგად იცნობენ ამერიკელი მრბოლელის კრეგ ბრიდლავის სახელს. 1965 წელს მან საათში 966,36 კმ სისწრაფით გაიქროლა მანქანით, რომელსაც „ამერიკის სული" ერქვა და ხმელეთზე სისწრაფის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

მაგრამ მრბოლელი ამას როდი დასჯერდა. რეკორდების დევნა საკმაოდ შემოსავლიანი ბიზნესი გახდა ბრიდლავისთვის. ავტომანქანებისა და საბურავების ფაბრიკები, ბენზინის კომპანიები ერთმანეთს ხელიდან გლეჯენ მრბოლელს — ყველას უნდა, რომ ბრიდლავმა სწორედ მის ნაწარმს გაუწიოს რეკლამა.

ბრიდლავმა მშვენივრად იცის, რომ ურისკოდ არც რეკლამა იქნება, არც ფული. ამიტომ მას განზრახული აქვს საკუთარი რეკორდი გააუმჯობესოს ახალი მანქანით, შეიძლება სწორედ ასეთი მანქანითაც, რომელსაც იგი თავის მეუღლესთან ერთად ათვალიერებს (იხ. სურათი).

ამერიკელ მრბოლელს მოსვენებას არ აძლევს დიდება ინგლისელი დონალდ კემპბელისა, რომელსაც ეკუთვნის წყალზე სისწრაფის რეკორდი (445 კმ საათში). კემპბელი სწორედ მაშინ დაიღუპა ამ რეკორდის გაუმჯობესებას რომ ცდილობდა. ბრიდლავმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს წყალზე საათში 480 კმ სისწრაფეს მაინც მიაღწიოს.

ფოტო ჟურნალ „შტერნიდან".

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 6 უე 03936